ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 25

"9" თებერვალი 2018 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N279 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილი იქნას ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №279 განკარგულებაში და განკარგულების მე-6 პუნქტის:

ა) „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომელთაც სამსახურებრივი სარგებლობისთვის მოემსახურებათ განპიროვნებული ავტომანქანები და ასეთი ავტომანქანების ზღვრული რაოდენობა (დანართი №1)" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის განპიროვნებული და სამორიგეო ერთი ავტომანქანისთვის გამოყოფილი ყოველთვიური საწვავის ლიმიტი, რომელიც ფინანსდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან (დანართი №2)" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.N6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

დანართი N1

დამტკიცებულია
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2018 წლის 9 თებერვლის №25 განკარგულებით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომელთაც სამსახურებრივი სარგებლობისთვის მოემსახურებათ განპიროვნებული ავტომანქანები და ასეთი ავტომანქანების ზღვრული რაოდენობა

თანამდებობა	ავტომანქანების რაოდენობა
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	1
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი	1

დანართი N2

დამტკიცებულია
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2018 წლის 9 თებერვლის №25 განკარგულებით

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის განპიროვნებული და სამორიგეო ერთი ავტომანქანისთვის გამოყოფილი ყოველთვიური საწვავის ლიმიტი, რომელიც ფინანსდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან

თანამდებობა	საწვავის (ბენზინი) ლიმიტი ლიტრობით
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	450
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	350
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	350
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	320
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	320
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	300
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი	300
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი	300 (აპარატის თითოეული ავტომანქანისათვის ბენზინი ან/და დიზელი)